

ჰენდაუთი 3.2 - კოორდინირების დაგეგმვის ღონისძიებების ინსტრუქცია

ინსტრუქციები:

1. მე-2 მოდულში ძალადობრივი ექსტრემიზმის ადგილობრივი მამოძრავებელი ფაქტორების განსაზღვრის დროს წარმოდგენილი იგივე შემადგენლობის ჯგუფებში შეიმუშავეთ შესაბამისი მამოძრავებელი ფაქტორების კრებული, რომელზეც თქვენი ჯგუფი გაამახვილებს ყურადღებას. მიუთითეთ ეს ზედა გრაფაში.
2. იმსჯელეთ შერჩეული მამოძრავებელი ფაქტორების შესახებ და ერთობლივად შეიმუშავეთ მათი აღმოფხვრის ან გარდაქმნის გზები. ყურადღება გაამახვილეთ საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ან წინა ღონისძიების შესრულებისას თქვენს მიერ განსაზღვრული მიმზიდველი ფაქტორების ალტერნატივის შექმნაზე. აქ მთავარია არა კონკრეტული ღონისძიებების (სემინარები, ტრენინგები და ა.შ.) იდენტიფიცირება, არამედ უფრო დიდი მიზნების განსაზღვრა სტრატეგიის ფარგლებში. დაწერეთ ეს მიზნები ფურცლის ცენტრში და თითოეული მათგანი შემოხაზეთ.
3. ფურცლის ერთ მხარეს ჩამოწერეთ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ტიპები და ხაზებით შეაერთეთ ფურცლის ცენტრში მითითებულ შესაბამის სტრატეგიულ ელემენტებთან. ხაზების გასწვრივ, დაწერეთ, თუ რა წვლილი შეაქვს ჯგუფს სტრატეგიის შესაბამისი ნაწილის განხორციელებაში.
4. ფურცლის მეორე მხარეს ანალოგიურად ჩამოწერეთ სამთავრობო უწყებები ან სამინისტროები და გაიმეორეთ მე-3 ეტაპი, შეაერთეთ ხაზებით კონკრეტული უწყებები სტრატეგიის შესაბამის ელემენტებთან და ხაზის გასწვრივ მიუთითეთ მათ მიერ შეტანილი კონკრეტული წვლილი ამ მიზნების შესრულებაში.
5. ტრენერის მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოადგინეთ თქვენი ჯგუფის სქემა.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. წარმოიდგინეთ, რომ ამ ფაქტორების განხილვას ცდილობთ მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ან სამთავრობო ინსტიტუციების მიერ მოწოდებული მონაცემების გამოყენებით. როგორ ფიქრობთ, იმოქმედებს თუ არა ეს თქვენი სტრატეგიის ეფექტიანობაზე?

2. რას გაძლევთ კოორდინაცია? რა სარგებელი მოაქვს მას ამ სტრატეგიისთვის?
3. არსებობს თუ არა ისეთი დამხმარე ღონისძიებები, რომლის შესრულებაც გადაიფიქრეთ რისკების არსებობის გამო? მიუთითეთ ეს ღონისძიებები და მათი შეუსრულებლობის მიზეზები.
4. მიუთითეთ თქვენს მიერ გამოვლენილი რისკები, რომლებიც საჭიროებს ერთობლივად მუშაობისას. აუცილებელია თუ არა რაიმე ზომის მიღება, სანამ ეფექტიანი თანამშრომლობა გახდება შესაძლებელია?